<b>სულ:</b>						<b>71.6</b>		<b>1.80</b>				<b>4658</b>	

სამშენებლო სამუშაოების მოცულობები ანაკრები რკინა-ბეტონის საძირკვლების მოწყობაზე												
№	საძირკვლის ტიპი	საყრდენის ტიპი	საძირკვლის რ-ბა	ხრეშის მომზადება		რკინა-ბეტონის ელემენტები		გრუნტის ამოღება		გრუნტის უკუთავრა		გრუნტის სახეობა და გაწყლოვანების ხარისხი
				1 სამ	სულ	1 სამ	სულ	1 სამ	სულ	1 სამ	სულ	
1	სს-1	ΠC110-10nr	1	2,90	2,90	7,16	7,16	185	185	174,9	174,9	კენჭნარი თიხნარით, შშრალი
2	სს-2	Y110-2	1	3,0	3,0	8,40	8,40	500	500	488,60	488,60	კენჭნარი თიხნარით, შშრალი
3	სს-3	YC110-6	3	2,90	8,70	7,16	21,48	215	645	204,90	614,70	კენჭნარი თიხნარით, შშრალი
3	სს-4	Y110-2+14	1	2,40	2,40	6,80	6,80	260	260	250,80	250,80	კენჭნარი თიხნარით, შშრალი
<b>სულ:</b>			<b>6</b>		<b>17,0</b>		<b>43,84</b>		<b>1590</b>		<b>1529</b>	

სამშენებლო სამუშაოების მოცულობები ლითონის საძირკვლების მოწყობაზე და საყრდენის ტანით ჩამაგრებაზე												
№	საძირკვლის ტიპი	საყრდენის ტიპი	საძირკვლის რ-ბა	ხრეშის მომზადება		ბეტონის მომზადება B15,		გრუნტის ამოღება		ბეტონი B20,		გრუნტის სახეობა და გაწყლოვანების ხარისხი
				1 სამ	სულ	1 სამ	სულ	1 სამ	სულ	1 სამ	სულ	
1	„ღს-1“	2AYГ-60Tp	2	1,35	2,70	0,90	1,80	38	76	35,8	71,60	ქვიშაქვები, შშრალი
<b>სულ:</b>			<b>2</b>		<b>2,70</b>		<b>1,80</b>		<b>76</b>		<b>71,60</b>	


**საყრდენების დამიწება**

საყრდენების დამიწება გაანგარიშებულია გრუნტის ხვედრითი წინაღობის მიხედვით, გრუნტის ხვედრითი წინაღობა  $\rho=500$  ომი\*მ. სამრეწველო სიხშირის ღუნების გადაღინების წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ომს.


$$R_{bb} = \frac{500}{2 * 3.14 * 80} * \left( Ln \frac{2 * 80}{0.012} + Ln \frac{80}{2 * 0.5} \right) = 13.81 \text{ ომი}$$

უნიფიცირებული საყრდენის დამიწება მოხდება სხივური მეთოდით,  $\varnothing$ -12 მმ კვეთის 20 მ ოთხი სხივით.

ინდივიდუალური კონსტრუქციის საყრდენის დამიწება (2AYT60TP)



უნიფიცირებული საყრდენების დამიწება




დამამიწებელი მოწყობილობის ტიპი	გრუნტის სვედრითი ელექტრონადაღობა ომი.მ	ერთივერტიკალური ელექტროლის დამამიწებლის სიგრძე და რაოდენობა (ც/მ)	ერთი განფენილი დამამიწებლის სიგრძე მ	სიგრძე საძირკვლიდან ვერტიკალურ დამამიწებლამდე მ	დამამიწებელი მოწყობილობის მოცულობა ერთი საყრდენისათვის მრგვალი ფოლადი $\varnothing 12$ მმ	დამამიწებელი მოწყობილობის ნორმატიული ელექტრონადაღობა ომი	დასამიწებელი საყრდენის ნომრები
					ა	ბ	განუწილი დამამიწებლის ჯამური რაოდენობა და სიგრძე ც/მ

1	500	-	20	-	80	71.08	4/80	15	1;2;3;4;5;6;7
---	-----	---	----	---	----	-------	------	----	---------------

სხივების ჩაწყობის სიღრმე არ იქნება 0.5 მ-ზე ნაკლები. დამამიწებელი მოწყობილობების ნაწილების შეერთება საყრდენის დამიწების დეტალებთან სრულდება შედუღებით.

დამამიწებელი ელექტროდის ჩამაგრების კვანძი



№	მანაღის დასახელება	მარაბი	სიგრძე (მმ)	რაოდენობა (ც.)	წონა (კგ.)	ნორმა
1	დაბნო	M16	-	1	00.3	ГОСТ 5915-79
2	ბროუნო	Φ17	-	1	00.1	ГОСТ 9402-79
3	პანჯიკი	M16	Φ17	1	0.13	ГОСТ 7798-79
4	წოლქვანა ფულაღი	40X60	M16	1	0.65	ГОСТ 103-07

ვანდალიზმის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდება დამიწების კონტურის შედუღებით მიერთება. დამიწების კონტურის მოწყობის შემდეგ, გაიზომება დამიწების კონტურის წინაღობა და საჭიროების შემთხვევაში დაემატება დამამიწებელი მოწყობილობა.










## საყრდენების ნაკრები უწყისი და გასხვისების ფართი

##	საყრდენის ტიპი	რაოდენობა ცალი	საყრდენის ბაზა, მ	S მ <sup>2</sup> ერთი საყრდენისთვის	S მ <sup>2</sup> სულ
1	YC110-6	3	3.5	56.25	168.75
2	Y110-2+14	1	7.5	132.25	132.25
3	2AYГ60гp	3	2	36	108
4	ПC110-10пr	1	2,75	45,56	45,56
	სულ:	8			491,31

YC110-6  
ბაზა=3.5  
ფართი=56.25 მ<sup>2</sup>



## გადაკვეთების ანგარიში

#	გადასაკვეთი ობიექტის დასახელება	L	X	$\Delta h$	f	y	$H_0$	$h_1$	$h_2$	a ანგარ.	a ნორმით
1	არს.#23/13- საპრ.#1 საპროექტო საყრდენებს შორის ავტომაგისტრალი	80	47	15.4	0.70	9.72	405.4	395.68	379.8	15.9	7

- 1)  $l$  მალი მეტრებში
- 2)  $y$  სადენის ჩალუნვა გადაკვეთის წერტილში
- 3)  $x$  მანძილი მალლა მდგომი ანძიდან გადასაკვეთ ობიექტამდე
- 4)  $\Delta h$  ნიშნულთა სხვაობა სადენის დაკიდების წერტილებს შორის
- 5)  $f$  სადენის მაქსიმალური ჩალუნვა
- 6)  $H_0$  სადენის დაკიდების უმაღლესი წერტილის ნიშნული
- 7)  $h_1$  სადენის ნიშნული გადაკვეთის წერტილში
- 8)  $h_2$  გადასაკვეთი ობიექტის სიმაღლე
- 9)  $a$  გაბარიტი გადასაკვეთ ობიექტამდე

ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები

#	მაჩვენებლების დაახსელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
<b>1</b>	<b>110 კვ ძაბვის საჰაერო ხაზის ტრასის გეგმა</b>	კმ	1,688
<b>2</b>	<b>სადენი</b>		
	AC-150/24	კმ/ტ	10,432/6,249
<b>3</b>	<b>მუხდამცავი გვარლი</b>		
	C-50	კმ/ტ	1,739/0,727
<b>4</b>	<b>სახაზო არმატურა</b>		
	ერთმაგი ჩამაგრების დამჭიმი გირლანდა AC150/24 სადენისათვის	კომპლ.	84
	ორმაგი ჩამაგრების დამჭიმი გირლანდა AC150/24 სადენისათვის	კომპლ.	12
	ერთმაგი ჩამაგრების დამჭერი გირლანდა AC150/24 სადენისათვის	კომპლ.	6
	დამჭიმი გირლანდა C-50 გვარლისათვის	კომპლ.	16
	დამჭერი გირლანდა C-50 გვარლისათვის	კომპლ.	1
	პრტყელტუჩა მომჭერი ПА-4-1А	ცალი	108
	ვიბრაციის ჩამქრობი მოწყობილობა ГПГ-1,6-11-400/20	ცალი	108
	შემაერთებელი მმომჭერი COAC-150-3	ცალი	6
	შემაერთებელი მმომჭერი CBC-50-3	ცალი	1
<b>5</b>	<b>საყრდენები</b>	სულ:	ცალი/ტონა
	YC110-6	ცალი/ტონა	8/81,480
	Y110-2	ცალი/ტონა	3/32,565
	Y110-2+14	ცალი/ტონა	1/8,002
	2AYГ60np	ცალი/ტონა	1/15,212
	ПC110-10nr	ცალი/ტონა	2/20,700
		ცალი/ტონა	1/5,001
<b>6</b>	<b>სამირკვლები</b>		
	Φ5-4	ცალი/მ <sup>3</sup>	16/28,64
	Φ3-AM	ცალი/მ <sup>3</sup>	6/10,2
	Φ5-AM	ცალი/მ <sup>3</sup>	2/5,0
	„ფლა-3“	ცალი/კვ	2/4474
	ჭანჭიკი M42*180	კომპლ./კვ	8/184
	ბეტონი B15	მ3	1,80
	ბეტონი B20	მ3	71,60
	ხრეში	მ3	19,70
<b>8.</b>	<b>დამიწების კონტური Ø12 88 (1x-0,888 x)</b>	<b>გრძ.მ/კვ</b>	640/568,3

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში

საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად ჩატარებულია სავსე გეოლოგიური სამუშაოები, რისთვისაც საყრდენების განთავსების წერტილებზე გაყვანილ იქნა სამთო გამონამუშევრები, აღებული იქნა ნიმუშები, რომლებსაც აკრედიტირებულ ლაბორატორიაში

ჩაუტარდა კვლევები და განისაზღვრა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გაფართოებული ანგარიში წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

გეოლოგიური ანგარიში შედგენილია საკვლევო ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოიცავს, საკვლევო რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, კლიმატს, გეომორფოლოგიას, გეოლოგიას და ჰიდროგეოლოგიას, ხოლო საპროექტო ხაზის საინჟინრო ნაგებობების განთავსების არეალში, არსებული თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების გამოვლენას, შეფასებასა და დახასიათებას.

ანგარიში შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის) პ.1.19-ის, მე-2 შენიშვნის და 1.22 პუნქტის, ს.ნ. და წ. 02.01-83 (შენობა-ნაგებობების ფუძესაძირკვლები) და სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევების მიზანი იყო მშენებლობისათვის გამოყოფილ ადგილას საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა 110 კვ ეგზ-ის დასაპროექტებელი უბნის მშენებლობისთვის. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შედგა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში, ს.ნ. და წ. 1.02.07-87, მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად.

საპროექტო საჰაერო ეგზ 10 წლიანი განმეორებადობით გადის ყინულმოცვით III (15 მმ) და ქარით IV (30 მ/წმ) კლიმატური პირობების რაიონში. საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით, ქ. თბილისის ტერიტორია განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში.

ჩატარებული გეოლოგიური კვლევის დასკვნის თანახმად, გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. გრუნტის წყლის დონე უბანზე გაყვანილი გამონამუშევრებით არ გახსნილა და გაყვანილი სიღრმის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის. ფიზიკურ-გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტები მდგრადია, უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის და იგი ვარგისია მშენებლობისთვის. დეტალურ ინფორმაციისთვის იხ. სკრინინგის ანგარიშზე თანდანართული გეოლოგიური კვლევის ანგარიში.

## **5. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები**

საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული ქალაქში არსებული გზები. ახალი საყრდენების განთავსების ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი გზატკეცილი, ხოლო არსებული საყრდენების დემონტაჟისთვის კომპანია ისარგებლებს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე, ქალაქის არსებული გზებით, აღნიშული ქუჩები მოასფალტებულია და არ საჭიროებს რაიმე დამატებითი სამუშაოების ჩატარებას.



## 6. ანძების მოწყობისთვის გათვალისწინებული სამუშაოები და დასაქმება

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, პირველ რიგში განხორციელდება ახალი საყრდენების მონტაჟი. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში პირველ რიგში მოხდება მიწის ამოღება, საყრდენების კონსტრუქციების განთავსებისთვის. აღნიშნული პროცესებისთვის გამოყენებული იქნება ექსკავატორი. საპროექტო ტერიტორიაზე ყველანაირი მასალა შემოვა მზა სახით, შესაბამისად რაიმე სახის სამშენებლო რესურსის წარმოება ადგილზე არ მოხდება. მოწყობის სამუშაოები იწარმოება დღის საათებში, 8 საათის განმავლობაში და დასაქმებული იქნება 15 ადამიანი.

ახალი საყრდენების დამონტაჟების შემდგომ, დაიწყება არსებული საყრდენების დაშლა, რათა ეფექტურად განხორციელდეს ელექტროგადამცემი ხაზის გადაერთების პროცესი. დაშლილი საყრდენების კონსტრუქციები და მათი საძირკველიდან ამოღებული მასალები იმატება სს „თელასთან“ შეთანხმებით. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში და დასაქმებული იქნება 10 ადამიანი.

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს საშენებლო ბანაკის ან რაიმე ტიპის დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, გარდა მუშა პერსონალისთვის გათვალისწინებული ბიოტუალეტისა, რომლის გატანაც ტერიტორიიდან მოხდება სამუშაოების დასრულებისთანავე.

## 7. ზემოქმედების შეფასება

### 7.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, ტყის ფონდის მიწებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ეგხ-ის დერეფნების უშუალო სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები განლაგებული არ არის, შესაბამისად პროექტის განხორციელებით არქეოლოგიურ ძეგლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ეგხ-ს ტრასიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, თბილისის ეროვნული პარკი 17 კმ-ზე მეტი მანძილითაა დაშორებული. შესაბამისად, მასზე რაიმე სახით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ტყის ფონდის მიწებს, საპროექტო ბუფერი, ისევე როგორც არსებული საყრდენების განთავსების მონაკვეთი არ მდებარეობს ასეთი მიწების სიახლოვეს, რაც გამორიცხავს მათზე ზემოქმედების საკითხებს.

## 7.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

არსებული საყრდენების ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რის გამოც, აღნიშნული ტერიტორია ანთროპოგენულად სახეცვლილია. იგი არ წარმოადგენს ცხოველთა და ფრინველთათვის მნიშვნელოვან საბინადრო ადგილს, ამასთან ტერიტორიაზე არ ვხვდებით განსაკუთრებული ტიპის მცენარეულ საფარს.

რაც შეეხება საპროექტო საყრდენების განთავსების უბანს, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია გარკვეული მცენარეული საფარი, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამუშაოებს, შესაბამისად მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედება პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი არ არის, საყრდენებისთვის შერჩეულია მცენარეებისგან მაქსიმალურად თავისუფალი წერტილები. ამასთან საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერიტორია მიუყვება თბილის-რუსთავის დამაკავშირებელ გზატკეცილს, რომელზეც მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიური მოძრაობა. აღნიშნული მიზეზით მიმდებარე ტერიტორიები არ წარმოადგენს ცხოველთა და ფრინველთათვის გათვალისწინებულ საბინადრო ადგილს. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბუფერის მიმდებარედ არსებული ტერიტორიები ათვისებულია სხვადასხვა კომპანიების მიერ, კომერციული დანიშნულებით და სახეზეა მიმდებარე ტერიტორიების ანთროპოგენული ცვლილება.

## 7.3 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

არსებული საყრდენების სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება საპროექტო საყრდენების განთავსებას, აღნიშნულ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა საკმაოდ დაბალი ხარისხითაა წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში თუ საყრდენების მოწყობისას საჭირო გახდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, აღნიშნულის სისქე არ გადააჭარბებს 5სმ-ს. რაც შეეხება მოცულობას, გამომდინარე იქიდან, რომ საყრდენების ქვეშ მუდმივ სარგებლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 491 მ<sup>2</sup>, მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იქნება დაახლოებით :  $409 \times 0,05 = 20,45$  მ<sup>3</sup>. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად და მისი მართვა განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ფუჭ ქანებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ექსკავაციის პროცესში, აღნიშნული მასალა განთავსებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე დროებით და გამოყენებული იქნება ადგილზევე, ჩაღრმავებების ამოსავსებად.



#### 7.4 ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე

ჩატარებული გეოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ საპროექტო ანძების განთავსების ტერიტორიაზე მიწისქვეშა გრუნტის წყლები არ გამოვლენილა, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობით მათზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად ამისა, საყრდენების მოწყობის პრიოდში, მკაცრად გაკონტროლდება როგორც სატრანსპორტო საშუალებების გამართულობა, ასევე ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი მართვა, რათა ნიადაგზე და წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ნულამდე იქნას დაყვანილი.

რაც შეეხება ზედაპირულ წყალზე ზემოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო საყრდენები ეწყობა მდ. მტკვარის სანაპიროზე, ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან საქმიანობის პროცესში სამუშაო ტექნიკის წყალში დგომა გათვალისწინებული არ არის. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ნარჩენების მართვისა და ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის საკითხები მკაცრად გაკონტროლდება.

აღსანიშნავია, რომ N8 საპროექტო ანძა, რომელიც თავსდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განთავსებულ არსებულ N17/7 ანძას დაუერთდება ამწეს გამოყენებით, რომელიც განთავსდება სანაპიროზე და არ შევა მდინარის კალაპოტში. შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპზეც ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

რაც შეეხება არსებული ანძების დემონტაჟს, ჩასატარებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის არც ზედაპირულ და არც გრუნტის წყალზე ზემოქმედება.

#### 7.5 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოხდება „ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად“. კერძოდ, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, მათი ღრობითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა, ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა და სხვა.

სამშენებლო პერიოდში თხრილების მოწყობისას წარმოქმნილი მიწის გრუნტის (ინერტული ნარჩენი) გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება თხრილების ამოსავსებად, ხოლო ნაწილი გატანილი იქნება ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე წარმოქმნისთანავე. ასევე, აღნიშნულ სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე იქნება გატანილი დემონტაჟს დაქვემდებარებული საყრდენების ბეტონის

საძირკვლების ნარჩენები. ხოლო რაც შეეხება გამონთავისუფლებულ ანძებს, მათი განკარგვა მოხდება სს „თელასისა“ და შპს „ას ჯორჯიას“ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, კერძოდ ვარგისი მასალა დასაწყობდება სს „თელასის“ საწყობში. ხოლო უვარგისი ფოლადის, რკინია და ალუმინის ჯართი გადაეცემა შესაბამისი ნარჩენების მართვის უფლების მქონე კომპანიას.

ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟის და მშენებლობისას საამშენებლო ბანაკი არ მოეწყობა, მშენებლობაში დასაქმებული ადამიანების კვებით უზრუნველყოფა სადილზე მოხდება მშენებლობის უშუალო სიახლოვეს არსებულ ქ. თბილისის კვების ობიექტებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟის და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები იქნება ძალიან მცირე და განთავსდება ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების მუნიციპალურ ურნებში.

ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

#### **7.6 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება**

პროექტი არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპებზე არ საჭიროებს სტაციონარულ გაფრქვევის წყაროებს. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებისა და ანძების დაშლის პროცესში, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში ემისიები გამოწვეული იქნება მანქანა-დანადგარების მუშაობის შედეგად - ნაძვნი აირები, მტვერი, შედელების აეროზოლების ემისიები. სამშენებლო სამუშაოები შესრულდება სამშენებლო წესებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის თანახმად. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროექტით სამშენებლო სამუშაოების დამთავრება იგეგმება მოკლე ვადებში (1 თვე).

ამასთან, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით დაიგეგმება ისეთი ღონისძიებები როგორცაა: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი, ტრანსპორტის გადაადგილების სიჩქარის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში მისასვლელ გზების მორწყვა და სხვ.

ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიას ადგილი არ ექნება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით რომ პროექტის განხორციელება იგეგმება მოკლე ვადებში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაგეგმილი სამუშაოები არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპებზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს.

#### **7.7 ხმაურის გავრცელება**

მშენებლობის ეტაპი: ეგზ-ის მშენებლობისთვის სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. არ იგეგმება ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების გამოყენება. ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მხრივ მცირედით მომატებული რისკები მოსალოდნელია ანძების დემონტაჟის, მათი ახალ ადგილებზე მონტაჟის და მასალების ტრანსპორტირებისას, რაც ძალიან უმნიშვნელოდ შეცვლის არსებულ ფონს. მიუხედავად იმისა, რომ სადემონტაჟო ანძები განთავსებულია დასახლებულ პუნქტში და 100 მეტრის რადიუსში გვხვდება მოსახლეობა, მათი დაშლის სამუშაოები არ იქნება მასშტაბური სახის და განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. რაც შეეხება საპროექტო ანძებს, უახლოესი საცხოვრებელი ობიექტი დაგეგმილი ბუფერიდან დაახლოებით 180 მ-ით არის დაშორებული (საცხოვრებელი კომპლექსი დირსი), თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ანძასა და მოსახლეს შორის მიედინება მდ. მტკვარი, რომელიც შესაძლოა შეფასებულ იქნას, როგორც ხმაურის შემაკავებელი ბუნებრივი ბარიერი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოების დამთავრება იგეგმება მოკლე ვალებში (1 თვე). შესაბამისად ხმაურის და ვიბრაციის წყაროების მოქმედების მცირე ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად ამცირებს ზემოქმედებას.

ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მშენებლობის ფაზაზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების დონეების მინიმუმაციის მიზნით მიზანშეწონილია გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- სენსიტიურ მონაკვეთებზე მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა, რათა მინიმუმამდე დავიდეს ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების რისკები მოსახლეობაზე.

### 7.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული საყრდენების დემონტაჟი და მათ ნაცვლად, ახალ დერეფანში ახალი საყრდენების მონტაჟი მნიშვნელოვანი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება მოსალოდნელი არ არის, რადგან ელექტროგადამცემი ხაზები და საყრდენები ურბანული სივრცისთვის განსაკუთრებულ ვიზუალურ რეცეპტორს არ წარმოადგენს. ამასთან საგულისხმოა, რომ საყრდენების მონტაჟი გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი საავტომობილო გზის გაყოლებაზე, სადაც განთავსებულია განათებები, შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი ვიზუალური და ლანდშაფტური ეფექტით არ გამოირჩევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული საყრდენების დატოვება სამომავლო პარკის ტერიტორიაზე შესაძლოა აღქმული ყოფილიყო როგორც მნიშვნელოვანი ვიზუალური ზემოქმედება, შესაბამისად, აღნიშნული საყრდენების გადატანა შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითი ეფექტის გამომწვევი.

### **7.9 კუმულაციური ზემოქმედება**

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

აღსანიშნავია, რომ ობიექტის მიმდებარედ მსგავსი ტიპის საქმიანობა დაგეგმილი არ არის, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6 დანართი 1 - ხელშეკრულება

<p>ქ. თბილისი 18 ივლისი 2022 წელი</p>	<p>Г.Тбилиси. 18 июля 2022 г.</p>
<p>ერთი მხრივ, შპს „ას ჯორჯია“, ს/ნ 406024270, წარმოდგენილი მისი დირექტორის ემინ აბასოვის სახით (შემდგომში „დაკვეთი“)</p> <p>და მეორე მხრივ შპს „კოდორი“, ს/ნ 211385106, წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამ ვვარაცხელიას სახით, შემდგომში ნახსენები როგორც „შემსრულებელი“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ და ვალ-ვალკე როგორც „მხარე“. იმის გათვალისწინებით, რომ დანაკვეთს სურს მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, შემსრულებელი გამოთქვას მზადყოფნას გაუწიოს დანაკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ადგენენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:</p>	<p>С одной стороны, ООО «АС Джорджия», к/к 406024270, в лице директора Эмина Абасова (далее «заказчик»), и с другой стороны, ООО «Кодори», к/к 211385106, в лице директора Гурама Кварაცхелиа, именуемое в дальнейшем «Исполнитель», оба вместе именуемые как «Стороны», так и по отдельности «Сторона», с учетом того, что Заказчик желает получить услуги, предусмотренные настоящим Договором. Исполнитель выражает готовность оказать Заказчику услуги, предусмотренные настоящим Договором, заключают настоящий Договор на следующие условия:</p>
<p>1. მომსახურების საგანი</p>	<p>1. Предмет услуги</p>
<p>1.1 მომსახურების საგანს წარმოადგენს: ქ.თბილისში „დირსი“-ს ტერიტორიაზე განაგალი 110 კვ-ის ორჯაგვარი საპარეტო ელექტროსადამცემი ხაზები „ორთაქალა-1-2“-ის ხაზით დასაწყისიდან გადატანასთან დაკავშირებით პროექტის მომსახურება.</p>	<p>1.1 Предметом услуги является: подготовка проекта в связи с переносом шести, двухцепной воздушной линии электропередачи 110 кв «Ортачала-1-2», проходящей по территории ж/к «Дирси» в г. Тбилиси (Прелегающая территория улицы Шота Надирашвили)</p>
<p>1.2 შენეხლობის მუშა პროექტის მომზადება მოიცავს შემდეგ პირობებს:</p>	<p>1.2 Подготовка рабочего проекта строительства включает следующие условия:</p>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. საპროექტო ხაზოვანი ნაგებობის წინასწარი სავარაუდო ტრასის შეორქვა და დანაკვეთთან შეთანხმება;</li> <li>2. გეოდეზიური მოკვლევების ჩატარება და საკადასტრო რუკაზე საპროექტო ხაზოვანი ნაგებობის დაზუსტებული ტრასის დატანა, დანაკვეთთან შეთანხმება და, საჭიროების შემთხვევაში, დანაკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ტრასის კორექტირება;</li> <li>3. ხაზოვანი გეოლოგიური კვლევების შესრულება, შეკვამის დანაკვეთის მომზადება და ამბების კონსტრუქციების განთავსების წერტილების განსაზღვრა;</li> <li>4. ამბების საკრძოლო კონსტრუქციებისა და მათი დამიწების კონსტრუქციების ტიპების განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში საგეოლოგიური არასტანდარტული ნიშნის კონსტრუქციების აშენების;</li> <li>5. ყველა გამოყენებული მოწყობილობისა და მასალების სპეციფიკაცია;</li> <li>6. პროექტის ვრცელი განმარტება თბილისში;</li> <li>7. ლიცენზირებული გამსარტოვის საურთის მიერ მუშა პროექტის საექსპერტო დასტვის მომზადება;</li> <li>8. მომსახურებელი მუშა პროექტის შეთანხმება ყველა იმ კომუნიკაციებთან, რომლებსაც გადაკვეთის საპროექტო ხაზოვანი ნაგებობა;</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Выбор предварительной проектной трассы линейного сооружения и согласование с заказчиком;</li> <li>2. Проведение геодезических изысканий и нанесение уточненной трассы проектируемого линейного сооружения на кадастровую карту, согласование с заказчиком и при необходимости корректировка трассы в соответствии требованиям заказчика;</li> <li>3. Выполнение инженерно-геологических исследований, подготовка соответствующих заключений и определение точек размещения конструкции, сооружений;</li> <li>4. Определение типов опорных конструкций и контуров их заземления, при необходимости расчет специальных нестандартных конструкций;</li> <li>5. Спецификация всего используемого оборудования и материалов;</li> <li>6. Обширная пояснительная записка проекта;</li> <li>7. Подготовка экспертного заключения рабочего проекта лицензированным бюро экспертизы;</li> <li>8. Согласование подготовленного рабочего проекта со всеми владельцами коммуникациями, которые будут пересекаться линейным сооружением проекта;</li> </ol>





## 7 დანართი 2 - თელასის წერილი

9/1/22, 3:52 PM

1.1.2.85/api/documents/print/document/1676916?lang=ka



საქართველო, თბილისი 0119, ჯანის ქ. 3  
ტელ: +995 (32) 277 99 99  
www.telasi.ge

სს 202052580



ნომერი: 0901/342/22  
თარიღი: 01/09/2022

შპს „ას ჯორჯია“-ს დირექტორს  
ბატონ: ემინ აბასოვს  
მის: შოთა ნადირაშვილის ქ. 24

ბატონო ემინ,

თქვენი 17.08.2022 წ. #5/42 (სს „თელასი“-ს #0817/1218/22) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს საკუთრებაში არსებულ მითითებულ მისამართზე გადის სს „თელასი“-ს კუთვნილებაში არსებული 110 კვ-ის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები „ორთაჭალა-2-3“.

თქვენს მიერ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სს „თელასი“ არ არის წინააღმდეგი მითითებული ტერიტორიიდან განახორციელოთ ზემოთაღნიშნული საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- სპეცილიზირებული საპროექტო ორგანიზაციის მიერ შემუშავდეს შესაბამისი მუშა პროექტი ელექტროდანადგარების მოწყობის წესებისა და უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების სრული დაცვით, რომელიც შეთანხმებული იქნება ყველა საჭირო კომუნიკაციებთან და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.
- შემუშავებული მუშა პროექტი წინასწარ შესთანხმებლად წარმოდგენილ იქნას სს „თელასში“, რომელიც განხილული იქნება შესაბამისი კომისიის მიერ და წინასწარი შეთანხმების მიღების შემდგომ აღნიშნული პროექტი წარედგინოს ლიცენზირებულ ექსპერტიზის ბიუროს განსახილველად, დადებითი დასკვნის შემთხვევაში მოხდება სს „თელასის“ მიერ პროექტის საბოლოო შეთანხმება.
- ახალი საპროექტო უბანი დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და გადმოეცეს უსასყიდლოდ სს „თელასს“ საკუთრებაში.
- სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს კვალიფიციური სამშენებლო ორგანიზაციის მიერ. სამუშაოების წარმოების პროცესში მონიტორინგს, პერსონალის დაშვებას და საჭირო ოპერატიულ გადართვებს ახორციელებს სს „თელასის“ შესაბამისი სამსახურები.
- გაფორმდეს ხელშეკრულება სს „თელას“-სა და შპს „ას ჯორჯია“-ს შორის რეკონსტრუქციის შედეგად გამოინთავისუფლებული ანძების კონსტრუქციების,

9/1/22, 3:52 PM

1.1.2.65/api/documents/print/document/1676916?lang=ka

- სადენებისა და შესაბამისი სახაზო არმატურის, სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდგომ განკარგვასთან დაკავშირებით.
6. სამუშაოებისა და სხვა საჭირო პროცედურების სრულად დამთავრების შემდეგ სს "თელასში" წარმოდგენილ იქნას ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მოხდება ახალი საპროექტო უბნის ექსპლუატაციაში შეყვანა.
7. მთლიანი სამუშაო პროცესის დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება თქვენს მიერ.

პატივისცემით,

სს "თელასის" ტექნიკური დირექტორის მ.შ



ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

შალალი ძაბუის ქსელის განყოფილების უფროსი

გიორგი კვარაცხელია 27799991(7399)



8 დანართი 3 - მერიის თანხმობა



**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული კირი - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო**



მერიის ნომერი: 16-01222482512  
თარიღი: 05/09/2022

აღმასრულებელი: მს. კვიციანი  
სააგენტოს მისამართი: 211385106  
მისამართი: თბილისი, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1, სართ. 12

---

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენს, 2022 წლის 30 აგვისტოს N08.27 წერილი (სააგენტოში რეგისტრაციის N10/01222421492-01- 30.08.2022), რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ:

საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ქაქუცა ხოლოყაშვილის ქუჩასა და მფ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2012 წლის 19 აპრილის N944 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N413 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გამოვალისწინებული იყო მალალი ძაბვის გადამცემი ხაზის გადართვა და აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილი იყო პოზიცია სს „თელასიფან“.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოახდენილი საპროექტო გადაწყვეტა, კერძოდ, მალალი ძაბვის გადამცემი ხაზის გადართვა 2022 წლის 30 აგვისტოს N08.27 წერილით წარმოდგენილ GPS კოორდინატებზე დასაშვებია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების გარეშე.

მერის მოწმობა  
სააგენტოს უფროსი



გამოყენებული კვალიფიკირი  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული მჯამბი



## 8. დანართი 4 - შეთანხმება მესაკუთრესთან



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს

შპს „ჯდ კაპიტალი“-ს, ს/ნ 405401747,

დირექტორის დავითი ჯამიტაშვილის, პ/ნ 60001043273,

### წერილი

გაცნობებთ, რომ შპს „ჯდ კაპიტალი“ თანახმაა, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ს/კ 01.18.10.003.079 გამავალი 110 კვ-ის ორგაჭვიანი საპაერო ელექტროგადამცემი ხაზები, „ორთაქალა-2-3“-ის რეკონსტრუქცია განხორციელდეს შპს „კოდორი“- ს ს/კ 211385106, მიერ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად.

პატივისცემით,

შპს „ჯდ კაპიტალი“-ს დირექტორი:

/დ. ჯამიტაშვილი

თარიღი: 25.11.2022 წ



